

„ქართულ–ოსური სამშვიდობო ინიციატივა“

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ საქართველოს საპატრიარქოს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს მეორე სამშვიდობო პროექტს სახელწოდებით: „ქართულ–ოსური სამშვიდობო ინიციატივა“, რომელიც ეთნიკურად ქართველ და ოს ახალგაზრდებს აერთიანებს. პროექტის ძირითადი ინტერვენციაა შეცვალოს დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის დამოკიდებულება და განავითაროს მშვიდობის მშენებლობის ხედვა ახალგაზრდა თაობის აქტიური ჩართულობით.

პროექტი წლის მანძილზე დატვირთულია სხვადასხვა სამშვიდობო აქტივობებით:

- საჯარო სკოლებში კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მედიაში სესიების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროექტის ლიდერები; მოსწავლეებთან ერთად მოხდება კონფლიქტური სიტუაციების და მათი მართვის ხერხების განხილვა; ასევე, ნაჩვენები იქნება ფილმი კონფლიქტის თემატიკაზე, რომელსაც პროფესიონალი მოდერატორი გაუძღვება.
- ტრენინგი - „ტოლერანტობა და სასწავლო გარემო“ - ეთნიკურად ქართველი და ოსი საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაეცნონ რა საბაზისო ცოდნაა საჭირო სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, კონფლიქტების სამართავად და სასწავლო გარემოში თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.
- ქართულ–ოსური და ოსურ–ქართული სასაუბროების შემუშავება, რომელშიც თავმოყრილი იქნება საბაზისო სიტყვები, ძირითადი ფრაზები და გამოთქმები. სასაუბროს გავრცელება ხელს შეუწყობს ქართველ და ოს ახალგაზრდებში ერთმანეთის კულტურისა და ენის შესახებ ინტერესის გაზრდას.
- ქართული ზღაპრების ოსურ ენაზე და ოსური ნართების ქართულ ენაზე თარგმნა, რომლებიც ქართველი და ოსი სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ილუსტრაციებით გაფორმდება.

პროექტის ცენტრალურ აქტივობას წარმოადგენს ათდღიანი სპეციალური პროგრამით დატვირთული ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა ქართველი და ოსი ახალგაზრდების მონაწილეობით. ბანაკში შექმნილ სიმღერის, ცეკვის, ხატვის, ხელსაქმის, დრამის, ჟურნალისტიკის და ენის შემსწავლელი სხვადასხვა წრეები (სექციები) ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები.

პროგრამის მიხედვით განხორციელებული ყველა ღონისძიება, ეთნიკურ ჯგუფებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მოტივაციისა და უნარების განვითარებისკენ არის მიმართული, რომლებსაც ლიდერობასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციაში სპეციალური პროგრამით მომზადებული ახალგაზრდები (ლიდერები) წარმართავენ.

პროექტის ძირითადი მიზანია კვლავ აღვადგინოთ საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და ოსებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები და ერთობლივი ძალისხმევით შევქმნათ მშვიდობიანი მომავალი.